ჭეშმარიტად, ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობა ყურანი იყო

სა'დ იბნ ჰიშამ იბნი 'აამირმა თქვა, როცა მივიდა აიშასთან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): ჰეი, მორწმუნეთა დედავ! მომიყევი შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობაზე, მან კი თქვა: «შენ ყურანს არ კითხულობ?» დიახ, თქვა: «ჭეშმარიტად, ალლაჰის მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობა ყურანი იყო».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა გრძელ ჰადისში]

მორწმუნეთა დედას აიშას (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ჰკითხეს მოციქულის ზნეობაზე (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) და მან ყოვლისმომცველი პასუხი გასცა. მან მკითხავი ძვირფასი და სრულყოფილი თვისების გამაერთიანებელი ყურანისკენ გადაამისამართა, და უთხრა რომ მოციქულის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ზნეობა ყურანი იყო, რაც ბრძანა ყურანმა შეასრულა, რაც აკრძალა განშორდა მას, მისი ზნეობა ყურანის ბრძანების შესრულება, მის საზღვრებში გაჩერება, მისი ეთიკით მოქმედება, მასში მოცემული მაგალითებიდან და ამბებიდან მაგალითის აღება იყო.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/8265

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee